ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისათვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ (29.08.2013 - 4.09.2013)

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან პარტნიორობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, 2013 წლის 29 აგვისტოდან - 5 სექტემბრამდე განახორციელა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისათვის. მონაწილეები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები.

ტრენინგები ჩატრადა ნაკადებად რეგიონების მიხედვით.

ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით	ჯგუფში მონაწ რა-ბა	პერიოდი
თელავის რესურს ცენტრი	კახეთი -16	16	29.08.2013
ბოლნისის რესურს ცენტრი	ქვემო ქართლი -14	14	30.08.2013
თბილისი, ცესკოს შენობა	თბილისი - 20, მცხეთა - მთიანეთი - 8	28	31.08.2013
ბორჯომის რესურს ცენტრი	შიდა ქართლი - 8, სამცხე - ჯავახეთი - 12	20	01.09.2013
ქუთაისის რესურს ცენტრი	იმერეთი - 24 , რაჭა - ლეჩხუმი - 6, ქვემო სვანეთი - 2	32	02.09.2013
სენაკის რესურს ცენტრი	სამეგრელო - 16, ზემო-სვანეთი - 2	18	03.09.2013
ბათუმის რესურს ცენტრი	აჭარა - 12, გურია - 6	18	04.09.2013